განკარგულება:**გ-31. 31243598**
თარიღი:**24/12/2024**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №65

2024 წლის 24 დეკემბერი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შ.პ.ს. „ ავტო 2018 “ - სთვის (ს/კ 433649741) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 115-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, შ.პ.ს. „ ავტო 2018“-ს (ს/კ 433649741) გადასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, 2 (ორი) წლის ვადით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ლანჩხუთში ჟორდანის ქუჩა N 126-ში მდებარე, N 27.06.51.005.01.532 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 51,30 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართიდან 19,329 კვ.მ. ფართი.

მუხლი 2. პირველი მუხლით გათვალისწინებული უძრავი ქონების წლიური ქირის ოდენობა განისაზღვროს, 19.329 კვ.მ ფართის ღირებულების - 12294 (თორმეტი ათას ორასოთხმოცდათორმეტი) ლარის 15% -ით, რაც შეადგენს 1 844,1(ათასრვაას ორმოცდაოთხი ლარი და ათი თეთრი) ლარს.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N26 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი